



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ენდემია

ენდემია (ბერძნ. endēmos – ადგილობრივი, მკვიდრი), ე ნ დ ე მ უ რ ი კ ე რ ა, გარკვეულ ტერიტორიაზე ინფექციური ან არაგადამდები (არაინფექციური) დაავადების მუდმივი (მრავალი წლის მანძილზე) არსებობა. იგი განპირობებულია გარკვეული გარემო პირობებით, რაც ხელს უწყობს ამ ტერიტორიაზე აღნიშნულ ინფექციურ დაავადებათა გამომწვევების ცირკულაციას და მათ გადამტანთა ინტენსიურ გამრავლებას. არაგადამდებ დაავადებათა შემთხვევაში კი ე-ს ინვეზს გარემოს ელემენტებში (ნიადაგი, წყალი და სხვ.) ზოგიერთი ქიმიური ელემენტის სიჭარბე ან დეფიციტი. ასეთ ტერიტორიას ენდემური კერა ეწოდება. მაგ.: მალარია ენდემურია ყველგან, სადაც არსებობს მალარიის გადამტანი კოლო ანოფელესი და ისეთი გარემო პირობები (მაგ. ჭაობი), რ-იც ხელს უწყობს კოლოსა და მის სხეულში არსებული მალარიის გამომწვევი პლაზმოდოუმის გამრავლებას. მაგ., მე-20 საუკუნის I ნახევარში საქართველოში მალარია ენდემური დაავადება იყო, განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობზე. ამჟამად ენდემური ინფექციური დაავადებებია: ანკილოსტომოზი, ტულარემია, ლეიშმანიოზი და სხვ. არაგადამდებ დაავადებათაგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ენდემური ჩიყვი, რ-საც ინვეზს გარემოში (ნიადაგში, წყალში) მიკროელემენტ იოდის დეფიციტი. მე-20 ს. ბოლოსა და 21-ე ს. დასაწყისში ეს პათოლოგია ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა. ენდემურ დაავადებას მიეკუთვნება ფლუოროზიც, რ-იც განპირობებულია გარემოს ელემენტებში ფთორის შენაერთების სიჭარბით. სათანადო სამეურნეო და სამედიცინო-სანიტარიული ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია ბუნებრივი ბიოლოგიური კავშირების განწყვეტა, ენდემური კერის განმსაზღვრელი პირობების შეცვლა და ადგილმდებარეობის გაჯანსაღება, რაც ინვეზს ენდემური დაავადების გავრცელების შემცირებას და ენდემური კერის ლიკვიდაციას.

*ი. მჭედლიძე*

---